| 75 | 137 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 12.7 | 8.3 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 76 | 138 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 25.5 | 18.5 | 7 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 77 | 139 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 16.6 | 11.5 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 78 | 140 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 32.5 | 11.1 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, მრავალღეროიანი 4 ერთეული |
| 79 | 141 | ცაცხვი (Tilia caucasica) | 34.4 | 32.5 | 6 | დაავადებული | იხ.ლაბორატორიული დასკვნა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 80 | 142 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 16.6 | 7 | 7 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |
| 81 | 143 | ჭადარი (Platanus) | 7.3 | 4.8 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 82 | 144 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 19.1 | 13.4 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 83 | 145 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 26.4 | 13.1 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, მრავალლეროიანი 4 ერთეული |
| 84 | 146 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 15.9 | 10.8 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 85 | 147 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 27.7 | 13.7 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 86 | 148 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 20.1 | 14 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 87 | 149 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 21.3 | 8.9 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |
| 88 | 150 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 10.5 | 6.7 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 89 | 151 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 20.1 | 6.7 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |
| 90 | 152 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 13.4 | 9.6 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 91 | 156 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 23.9 | 9.6 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |
| 92 | 157 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 19.1 | 4.5 | 4 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, მრავალლეროიანი 7 ერთეული |
| 93 | 158 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 7.3 | 3.8 | 4 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 94 | 159 | სოფორა (Sophora Japonica L.) | 3.8 | 2.5 | 3 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 95 | 160 | თუთა თეთრი (Morus alba) | 9.6 | 4.5 | 4 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 96 | 161 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 6.7 | 4.5 | 3 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 97 | 162 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 6.1 | 4.1 | 4 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 98 | 163 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 8 | 6.4 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი |
| 99 | 164 | საფორა (Sophora Japonica L) | 12.4 | 7.3 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 100 | 165 | ვერხვი კანადური (Populus deltoides) | 9.6 | 7.6 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 101 | 166 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 9.6 | 6.7 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 102 | 167 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 8.6 | 5.7 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 103 | 168 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 8.9 | 6.1 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 104 | 169 | საფორა (Sophora Japonica L) | 7.3 | 4.5 | 4 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 105 | 170 | საფორა (Sophora Japonica L) | 7 | 4.1 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 106 | 171 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 6.1 | 4.1 | 3 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 107 | 172 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 15.3 | 3.8 | 3 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი, გადანაჭრელი |
| 108 | 173 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 12.7 | 8.9 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 109 | 174 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 13.1 | 9.2 | 7 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 110 | 175 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 12.4 | 8.6 | 5 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 111 | 176 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 10.8 | 7.6 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 112 | 177 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 11.8 | 8.6 | 6 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა |
| 113 | 178 | ტირიფი (Salix) | 27.1 | 17.2 | 9 | ზეხმელი | |
| 114 | 179 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 44.6 | 33.1 | 14 | ჯანსაღი | შესაძლებელია გადარგვა, სპეციალური ტექნიკის გამოყენებით |

**აღრიცხული 114 ძირი ხე-მცენარეების ნუსხა სახეობების მიხედვით:**

- 1 ძირი ( N 11 ) აკაკი კავკასიური – Celtis caucasica;
- 1 ძირი ( N 10 ) ბირტა – Platycladus orientalis;
- 2 ძირი ( N 133, N 165 ) ვერხვი კანადური – Populus deltoides;
- 26 ძირი ( N 48, N 49, N 50, N 54, N 56, N 59, N 60, N 61, N 62, N 64, N 65, N 68, N 69, N 70, N 71, N 72, N 73, N 74, N 76, N 77, N 78, N 79, N 80, N 162, N 166, N 179 ) მთრთოლავი ვერხვი – Populus tremula;
- 2 ძირი ( N 44, N 160 ) თუთა თეთრი – Morus alba;
- 3 ძირი ( N 34, N 35, N 36 ) რუსული აკაცია – Gleditschia Triacanthos L;
- 2 ძირი ( N 9, N 33 ) საპნის ხე – Koelreuteria paniculata;
- 4 ძირი ( N 159, N 164, N 169, N 170 ) სოფორა – Sophora Japonica L;
- 4 ძირი ( N 57, N 58, N 63, N 178 ) ტირიფი – Salix;
- 1 ძირი ( N 141 ) ცაცხვი – Tilia caucasica;
- 11 ძირი ( N 46, N 47, N 51, N 55, N 66, N 81, N 127, N 157, N 161, N 168, N 171 ) ცრუ აკაცია – Robinia pseudoacacia;
- 1 ძირი ( N 143 ) ჭადარი – Platanus;
- 55 ძირი ( N 18, N 37, N 38, N 39, N 40, N 41, N 42, N 43, N 45, N 52, N 53, N 67, N 75, N 83, N 84, N 85, N 86, N 87, N 88, N 89, N 103, N 115 ,N 126, N 128, N 129, N 130, N 131, N 132, N 134, N 135, N 136, N 137, N 138, N 139, N 140, N 142, N 144, N 145, N 146, N 147, N 148, N 149, N 150, N 151, N 152, N 156, N 158, N 163, N 167, N 172, N 173, N 174, N 175, N 176, N 177 ) ხე მყრალი – Ailanthus altissima; ინვაზიური სახეობისაა.
- 1 ძირი ( N 82 ) ლეღვი – Ficus carica.

**114 ძირი ხე-მცენარიდან**

– **ინვაზიური სახეობისაა** 53 ძირი ხე მცენარე, კერძოდ:

- 55 ძირი ( N 18, N 37, N 38, N 39, N 40, N 41, N 42, N 43, N 45, N 52, N 53, N 67, N 75, N 83, N 84, N 85, N 86, N 87, N 88, N 89, N 103, N 115 ,N 126, N 128, N 129, N 130, N 131, N 132, N 134, N 135, N 136, N 137, N 138, N 139, N 140, N 142, N 144, N 145, N 146, N 147, N 148, N 149, N 150, N 151, N 152, N 156, N 158, N 163, N 167, N 172, N 173, N 174, N 175, N 176, N 177 ) ხე მყრალი – Ailanthus altissima; (მათ შორის **2 ძირი ( N 45, N 67 ) დაავადებულია**, ხოლო დანარჩენი 51 ძირი ჯანსაღი)

– **ხილ–კენკროვანი სახეობისაა** 1 ძირი ( N 82 ) ლეღვი – Ficus carica.

– დანარჩენი **58 ძირი ხე–მცენარიდან:**

***ზებმელია*** 1 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ:

- 1 ძირი ( 178 ) ტირიფი - Salix.

***დაავადებულია*** 11 ძირი ხე მცენარე, კერძოდ:

- 5 ძირი ( N 50, N 54, N 69, N 70, N 72 ) მთრთოლავი ვერხვი – Populus tremula;
- 1 ძირი ( N 9 ) საპნის ხე – Koelreuteria paniculata;
- 1 ძირი ( N 58 ) ტირიფი – Salix;
- 1 ძირი ( N 141 ) ცაცხვი – Tilia caucasica;
- 3 ძირი ( N 47, N 55, N 127 ) ცრუ აკაცია – Robinia pseudoacacia;

  იხ. ლაბორატორიული დასკვნა.

***ჯანსაღია*** 46 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ:

- 1 ძირი ( N 11 ) აკაკი კავკასიური – Celtis caucasica;
- 1 ძირი ( N 10 ) ბიოტა აღმოსავლეთის – Platycladus orientalis;
- 2 ძირი ( N 133, N 165 ) ვერხვი კანადური – Populus deltoides;
- 21 ძირი ( N 48, N 49, N 50, N 56, N 59, N 60, N 61, N 62, N 64, N 65, N 68, N 71, N 73, N 74, N 76, N 77, N 78, N 79, N 80, N 162, N 166, N 179 ) მთრთოლავი ვერხვი – Populus tremula;
- 2 ძირი ( N 44, N 160 ) თუთა თეთრი – Morus alba;
- 3 ძირი ( N 34, N 35, N 36 ) რუსული აკაცია – Gleditschia Triacanthos L;
- 1 ძირი ( N 33 ) საპნის ხე – Koelreuteria paniculata;
- 4 ძირი ( N 159, N 164, N 169, N 170 ) საფორა – Sophora Japonica L;
- 2 ძირი ( N 57, N 63 ) ტირიფი – Salix;
- 8 ძირი ( N 46, N 51, N 66, N 81, N 157, N 161, N 168, N 171 ) ცრუ აკაცია – Robinia pseudoacacia;
- 1 ძირი ( N 143 ) platanus – Platanus;

ჯანსაღი 46 ძირი ხე–მცენარის გადარგვა შესაძლებელია მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში სპეციალური ტექნიკის გამოყენებით აგროტექნიკური დონისძიებების სრული დაცვით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მესაკუთრეს ეძლევა რეკომენდაცია გადარგვის შემდეგ პროცედურებზე:
ადგილზე ამოღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ამოღებამდე რეკომენდირებულია მცენარეს ჩაუტარდეს სხვლა-ფორმირება. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა). ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა

გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით. ორმოში მიწის კარგად დატკეპნის შემდეგ, მიზანშეწონილია ნერგის ირგვლივ მინიმუმ 70 სმ რადიუსის და 10 სმ სიღრმის ჯამების გაკეთება. ნერგები უნდა მიარწყას ჩარგვისთანავე და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. წიწვოვანი სახეობის 1 ძირი ( N 10 ) ბიოტა აღმოსავლეთის – Platycladus orientalis გადარგვა უნდა განხორციელდეს მიწის გუნდით (კომით) ისე რომ არ დაზიანდეს მისი ფესვთა სისტემა. შემოდგომაზე მოთხრა უნდა მოხდეს ვეგეტაციის ბოლოს, როდესაც მცენარის ყლორტის ზრდა დამთავრდება, გამერქნდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კენწერის კვირტი. გაზაფხულზე მოთხრა უნდა ჩატარდეს კვირტის გახსნამდე.

შემსრულებელი: დავით კომახიძე
ექსპერტი



საქართველო, 0178, თბილისი, [illegible] ქ. № 11, ტელ. (+995) 251 606226
[illegible], Tbilisi, Georgia, (+995) 251 606226 Email: [illegible]

# საექსპერტო ლაბორატორიული დასკვნა

## მწვანე ნარგავების დაავადებების კვლევაზე

**თარიღი:** 01.02.2018წ.–20.02.2018წ.
**კვლევის ჩატარების მეთოდი:** ლაბორატორიული.
**მისამართი:** ქალაქი თბილისი, ჭუჩა ცისკრის, N 6, შესახვევი ცისკრის N4, ჭუჩა გურჯაანი N1, (ნაკვეთი N46/5)
**საკადასტრო კოდი:** N 01.17.01.046.005
**დამკვეთი:** შპს „არტსტუდიო-პროექტი" ს/კ: 204489393
**მეპატრონე:** შპს "კახმა", ID ნომერი: 204557862
**ლაბორატორიის მისამართი:** ქ. თბილისი, ორხევი, თვალჭრელიძის I შესახვევი 006/012, , შ.პ.ს „ბიოაგრო–მცანარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი"

*ცხრილი N 1*

| რიგ N | ხის N | სახეობა | Do დიამეტრი 10სმ-ზე | Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე | H სიმაღლე მ | მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | საპნის ხე (Koelreuteria paniculata) | 26.1 | 20.4 | 8 | ხმობადი |
| 2 | 45 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 31.8 | 11.5 | 7 | ხმობადი |
| 3 | 47 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 18.2 | 14.3 | 6 | ხმობადი |
| 4 | 50 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 53.5 | 50.0 | 14 | ხმობადი |
| 5 | 54 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 65.3 | 42.7 | 12 | ხმობადი |
| 6 | 55 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 19.1 | 10.2 | 6 | ხმობადი |
| 7 | 58 | ტირიფი (Salix) | 23.6 | 17.2 | 12 | ხმობადი |
| 8 | 67 | ხე მყრალი (Ailanthus altissima) | 31.8 | 18.5 | 7 | ხმობადი |
| 9 | 69 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 76.4 | 55.1 | 14 | ხმობადი |
| 10 | 70 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 31.2 | 22.3 | 10 | ხმობადი |
| 11 | 72 | მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) | 98.7 | 55.1 | 12 | ხმობადი |
| 12 | 127 | ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia) | 56.4 | 46.2 | 7 | ხმობადი |
| 13 | 141 | ცაცხვი (Tilia caucasica) | 34.4 | 32.5 | 6 | ხმობადი |

დამკვეთის მიერ მოთხოვნილია 13 ძირი ხე-მცენარის ლაბორატორიული კვლევა. იხ. ცხრილი N 1.

ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შ.პ.ს „ბიოაგრო-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის" ლაბორატორიაში.

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის მეთოდი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ – მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Методы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურღით). აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები:

# 141 ცაცხვი - მდგომარეობა - ხმობადი.

წინა წლებში 5 მ - ზე გადაჭრილია. მიმდინარეობს წვეროდან ხმობა. ღერო საკმაოდ დაზიანებულია აღინიშნა 50 სმ სიგრძის ღია ფუღურო და გამობურცული კორძები. ფუღუროში და ძირითად ღეროზე შრეკალადგამავსებლის - მერქანჭამიას კერები და მაკრომიცეტი სოკოს Lactiporus sulphurus ყვითელი ნაყოფსხეულები, რომელიც მიცელიუმით იჭრება მერქანში და იწვევს მურა სიდამპლეს. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. ქვედა ტოტები ჩამოტეხილია. ვარჯში ტოტების 50% ხმელია.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე აღინიშნება გულის სიდამპლე, მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

# 127 ცრუაკაცია - მდგომარეობა - ხმობადი

ღერო 6 მ -ზე წვერგადატეხილია. აღინიშნა საკმაოდ ღრმა ნახეთქი ჭრილობები და ფუღუროები, ხის გულის 60% შეჭმულია მავნებელი - ცილაჭამიით- Scolytus rugulosus და

დაავადებულია ძირქვის სწრაფ დამშლელი ბაზიდიუმიანი სოკოებით - (Basidiomycetes), რომლებიც იწვევენ ხის გულის დაშლას და სიდამშლეს. ამონაყარი ტოტების 70 % ხმელია და დაავადებული.

შესწავლილი მცენარეს აღენიშნება გულის სიდამშლე. დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე წარმოადგენს ჩაქცევის საშიშროებას. გაწკურნებას არ ექვემდებარება.

# 50 - მთრთოლავი ვერხვი - მდგომარეობა - ხმობადი

ღეროზე აღენიშნა 4 მეტრის სიგრძის დიდი ზომის ღრმა ფუღურო, რომელიც იწყება ფესვის ყელიდან. როგორც ფუღურო, ისე ძირქვი დაზიანებულია მავნებელი - ვერხვის დიდი ხარაბუზას - Saperda carchatias ოვალური ფორმის სასვლელებით და მაკრომიცეტი სოკოს ბრტყელი ენოდერმას - Ganoderma applanatum ჰიფებით. ქვედა ტოტები ნაწილი ხმელია და ნაწილი ჩამოტეხილი. მათი იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა ტოტების ხმობის გამომწვევი დაავადება – ფომოფსისი – Phomopsis sp.

შესწავლილი მცენარისათვის მსგავსი სიმპტომები დამლუპველია და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე წარმოადგენს ჩაქცევის საშიშროებას. განკურნებას არ ექვემდებარება.

# 45 ხემყრალი - მდგომარეობა - ხმობადი

ძრავალღეროიანია. ერთი ღეროს გარდა ყველა ღერო ჩინა წლებში გადატეხილია 30 -50 სმ -ის სიმაღლეზე. როგორც კუნძი, ისე ფესვის ყელი დაზიანებულია მავნებელი - ქერქიჭამიით და რუხი ობის გამომწვევი სოკოს - *Botryotinia hickeliana* ოვალური წაგრძელებული ფორმის მაფისებრი მუქი ყავისფერი ნაყოფსხეულებით, რომელიც იწვევს ფესვების სიდამშლეს. აქედან გამომდინარე აღნიშნული სიმპტომები გამოიწვევს დარჩენილი საღი ტოტის ხმობას.

შესწავლილი მცენარისათვის მსგავსი სიმპტომები დამლუპველია და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

# 47 აკაცია - მდგომარეობა - ხმობადი

ღეროზე ფესვის ყელიდან მთელ სიგრძეზე ვარუკის ტოტებამდე აღინიშნა ღია ფუღურო და მერქანზე პერპენდიკულარული ბზარები, სადაც დიდი რაოდენობითაა მავნებლის - ქერქიჭამიის ნაღრღნი და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მოყვითალო, შავი ლაქები და ფიფქები. ფესვის ყელი დაინფიცირებული ბრტყელი ბუდა სოკოთი-Ganodermaapplanatum. დაავადება უმთავრესად ფესვის ყელთან ან ტოტა ზეკით ვითარდება.

შესწავლილი მცენარისათვის მსგავსი სიმპტომები დამლუპველია და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

# 72 მთრთოლავი ვერხვი – მდგომარეობა – დაავადებული

3 კაპი. ფესვის ყელი დაზიანებულია ვერხვის დიდი ხარაბუზას – Saperda carcharias ლვალური ფორმის სასვლელებთ, ნაღრღნით და Telephoraceae (teleforovani) და Polyporaceae (poliporovani (აბედა) სოკოების ნაყოფსხეულებით. მათი უმეტესი მონაჭილეობით ხდება მერქნის ლპობა. მათ ჭრილობის პარაზიტებსაც უწოდებენ, რადგან მერქნის დაავადება და ლპობა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა მათი სპორები ან მიცელიუმი მექანიკურად დაზიანებულ ადგილას მოხვდება. იგი იჭრება შიგნით და იწყებს უკრედის შიგთავსით ან ცელულოზით კვებას. სხვადასხვა ფერმენტებს გამოყოფენ და იწვევს ხის გულის ფერის შეცვლას და სიდამპლეს, რაც კარგად დაფიქსირდა პრესლერის ბურღით ამოღებულ ნიმუშის იდენტიფიკაციით. სოკოს მიცელიუმი ხის გულში მოხვედრილია მავნებლის სასვლელებიდან. მიმდინარეობს ქვედა ტოტების ხმობა.

შესწავლილი უგზემალარი გადაბერებულია (ასაკი 40 წელზე მეტისაა). გადახრილია გზის სავალ ნაწილზე. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას, რომელიც მცენარეში მოხვედრილია მავნებლის დაზიანებულ ადგილებიდან. ხმობა დიდი ხანის წინაა დაწყებული. ხის გულის სიდამპლე დაძლეუველია მცენარისათვის, რის გამოც ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

# 70 მთრთოლავი ვერხვი – მდგომარეობა - ხმობადია

ხის წვერო ხმელია. ღეროზე ფესვის ყელიდან 1 მ- ის სიმაღლეზე აღინიშნა ღია ფუღუროები, რომელიც დაზიანებულია მავნებლის - ქერქიჭამიას და ვერხვის დიდი ხარაბუზას - Saperda carcharias ლვალური ფორმის კვრებით. ხოლო ფესვის ყელი დაინფიცირებულია სიდამპლის გამომწვევი პათოგენი მიკრომიცეტებით – Heterobasidion –ის გვარიდან.ტოტების იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა პატოგენი მიკრომიცეტი სოკო – Cryptodiaporthe populea რომელიც იწვევს ტოტების ქერქის სკდომას, აქერცვლას და საბოლოოდ ხმობას.

შესწავლილი ეგზემალარი ხმობადი, დაზიანებული და დაავადებულია. ხმობა დიდი ხანია დაწყებულია. ხის გულის და ფესვების სიდამპლე დამღუპველია მცენარისათვის, რის გამოც განკურნებას არ ექვემდებარება.

# 69 მთრთოლავი ვერხვი – მდგომარეობა – დაავადებული

ფესვის ყელთან აღინიშნა ღია ფუღუროები, რომელიც ღრმად შედის ფესვებში, როგორც ფუღუროები, ისე ფესვის ყელი დაზიანებულია მავნებლის ნაბურღით, კერებით და პათოგენური მიკრომიცეტი სოკოს- Fomitopsis annosum ნაყოფსხეულებით, რომლის სპორები ღრმად იჭრება მერქანში, შემდეგ გულგულში და დროთა განმავლობაში იწვევს მცენარის ლპობას, რაც კარგად დაფიქსირდა პრესლერის ბურღით ამოღებული ნიმუშის იდენტიფიკაციით. სოკოს მიცელიუმი ხის გულში მოხვედრილია მავნებლის სასვლელებიდან და ფუძეფუძიდან. მიმდინარეობს ქვედა ტოტების ხმობა.

შესწავლილი ეგზემპლარი გადაბერებულია ( ასაკი 40 წელზე მეტისაა), გადახრილია გზის სავალ მხარეს. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას, რომელიც მცენარეში მოხვედრილია მავნებლის დაზიანებულ ადგილებიდან და ღია ფუღუროდან. ხმობა დიდი ხნის დაწყებულია. ხის გულის სიდამპლე დამღუპველია მცენარისათვის, რის გამოც ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

# 67 ხემყრალა - მდგომარეობა - ხმობადი

2 კაბი, ღეროზე და ტოტების ქერქის ნაბრაღებში მრავლადაა მავნებლის -ქერქჭამიას კვლები და მიკრომიცეტი სოკოს - Cladosporium fuscum Link, Cladosporium herbarum (Pers.)Link, Coniothyrium fuckelii Sacc., Lopodermium pinastri (Schrad.) Rehm შავი ამონაყრცული ნაყოფსხეულები. ტოტებს 60% ხმელი, მტვრევადი და დაავადებულია.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

# 55 აკაცია - მდგომარეობა -ხმობადი

ღეროზე ფიქსირდება ღია ფუღუროები, ერთი ღერო 2 მ -ის სიმაღლეზე გადატეხილია და გადანატეხი ადგილი დაავადებულია პათოგენი მაკრომიცეტი ბრაქა სოკოს - Loctiporus sulphurus ჯგუფურად განლაგებული ყვითელი ნაყოფსხეულებით. აღნიშნული სოკოების მიცელიუმი ღრმადაა შეჭრილი ხერხემში და იწვევს გულგულის ფერა სიდამპლეს. აღნიშნული სიმპტომები დროთა განმავლობაში გამოიწვევს მეორე ღეროს ხმობას.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

# 54 მთრთოლავი ვერხვი – მდგომარეობა -ხმობადი

როგორც ღეროზე, ისე ფესვის ყელთან აღინიშნა ღია ფუღუროები მავნებლის – ქერქჭამიას კვლებით და პარაზიტი სოკოს *Neonectria ditissima* ნაყოფსხეულებით, რომელიც იწვევს სოკოვან დაავადებას - ნექტრიოზს. ერთი ღერო ადრეულ წლებში გადაჭრილია 30 სმ სიმაღლეზე, რომელიც მთლიანად დამპალია.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

# 58 ტირიფი - მდგომარეობა - ხმობადი

ფესვის ყელთან დაფიქსირდა ღია ფუღუროები, რომელიც ღრმად ჩადის ფესვებში და ამოვსებულია მავნებლის - სუნიანი მერქანჭამიას – Cossus cossus ნაბურღით და ბაზიდიომიანი სოკოებით – ბაზიდიომიცეტებით (Basidiomycetes), რომლის სპორები ღრმადაა შეჭრილი ხერხემში და მიმდინარეობსმცენარის ხის გულის ლპობა.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

**# 9 საპნის ხე - მდგომარეობა - ხმობადი**

აღენიშნება წვერხმელობა და ქვედა ტოტების ნაწილური ხმობა, ღეროზე, როგორც ფესვის ყელთან 50 სმ-ის სიგრძის, ისე რამდენიმე ადგილზე ფიქსირდება ღია ფუღურო, რომელიც დაზიანებულია მავნებელი - სუნიანი მერქანჭამიას - Cossus cossus ნაზუურით და ბაზიდიუმიანი სოკოებით - ბაზიდიომიცეტებით (Basidiomycetes), რომლის სპორები ღრმადაა შეჭრილი მერქანში და მიმდინარეობს მცენარის ხის გულისდამპალა და სიდამპლე.

შესწავლილი მცენარე დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

შემსრულებელი: დავით კობახიძე
ექსპერტი



საქართველო, 0178, თბილისი, ... ქ. № 11, ტელ: (+995) 551 606226,
... Tbilisi ... (+995) 551 606226 Email: ...

**18-01180883629**

**29.03.2018**

შპს კაზმა
204557862
ცისკრის შეს. 4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 21 თებერვლის #10/0118052923-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (შპს „სილვა გრუპის“ ექსპერტის დავით კობახიძის 2018 წლის 20 თებერვლის #02-22/037 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ შპს „კაზმა“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ცისკრის ქ. #6, ცისკრის შეს. #4, გურჯაანის ქ. #1 ს.კ.: 01.17.01.046.005) მშენებლობის განხორციელების მიზნით ხე-მცენარეების მოჭრა/ გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ „ქ.თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება #17-55“) მე-3 თავის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე განთავსებული მწვანე ნარგავები პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და მათი რაოდენობა არ აჭარბებს ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%-ს (მოსაჭრელი ხეების რაოდენობა შეადგენს 25%-ს), მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, შენარჩუნდება კლიმატური პირობები და სახეობრივი მდგომარეობა, სამსახური თანახმაა გასცეს 44 ძირი ხემყრალას (#18, #37, #38, #39, #40, #41, #42, #43, #52, #53, #75, #83, #84, #85, #86, #87, #126, #128, #129, #130, #132, #134, #136, #137, #138, #139, #140, #142, #144, #145, #146, #147, #148, #149, #150, #151, #152, #156, #172, #173, #174, #175, #176, #177)მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც წარმოადგენთ სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას.

აქვე, გაცნობებთ, რომ მწვანე ნარგავების (44 ძირი ხემყრალა) ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და დადგენილება #17-55-ის მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ დაავადებულ ხე-მცენარეებზე, ვინაიდან თქვენს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 13 ძირი მწვანე ნარგავი დაავადებულია (რაც დასტურდება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით), არ ექვემდებარება განკურნებას, შესაძლოა გავრცელდეს დაავადება მიმდებარედ არსებულ ხე-მცენარეებზე და დაირღვეს არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური თანახმაა გასცეს 1 ძირი საპნის ხის (#9), 2 ძირი ხემყრალას (#45, #67), 3 ძირი ცრუაკაციის (#47, #55, #127), 5 ძირი მთრთოლავი ვერხვის (#50, #54, #69, #70, #72), 2 ძირი ტირიფის (#58, #178) და 1 ძირი ცაცხვის (#141) მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 14 (თოთხმეტი) ძირი 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა (დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან). საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის

განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ცისკრის ქ. #6, ცისკრის შეს. #4, გურჯაანის ქ. #1 ს.კ.: 01.17.01.046.005) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

თუკი საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული მწვანე ნარგავი არაჯეროვანი მოვლის ან ბუნებრივი პირობების გამო გახმა რგვიდან 3 წლის განმავლობაში, კერძო მესაკუთრეს დაევალება ხელახლა საკომპენსაციო რგვა.

დადგენილება #17-55-ის მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარეების მდგომარეობისა და გადარგვის შესაძლებლობის დამადასტურებელი ექსპერტის რეკომენდაციის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ხე-მცენარეების გადარგვა ხორციელდება იმავე ტერიტორიაზე, არ იღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და მათი დიამეტრები ქმნის გადარგვის შემდგომი მათი გახარების საშუალებას, სამსახური გასცემს 9 ძირი ხემყრალას (#88, #89, #103, #115, #131, #135, #158, #163, #167), 1 ძირი ბიოტას (#10), 1 ძირი კავკასიური აკაკის (#11), 1 ძირი საპნის ხის (#33), 2 ძირი რუსული აკაციის (#35, #36), 1 ძირი ჭადარის (#143), 2 ძირი თეთრი თუთის (#44, #160), 8 ძირი ცრუაკაციის (#46, #51, #66, #81, #157, #161, #168, #171), 1 ძირი კანადური ვერხვის (#165), 4 ძირი სოფორას (#159, #164, #169, #170) და 2 ძირი მთრთოლავი ვერხვის (#162, #166) გადარგვის ნებართვას თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ცისკრის ქ. #6, ცისკრის შეს. #4, გურჯაანის ქ. #1 ს.კ.: 01.17.01.046.005) მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

დადგენილება #17-55-ის მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაინტერისებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 და ნაკლები, 12 სმ-ზე მეტი ხილ-კენკროვანი ხე-მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანის მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. ვინაიდან თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი ხე-მცენარეების

რაოდენობა არ აღემატება 15-ს, მისი ( 1 ძირი ლეღვი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ნებართვის მისაღებად საჭიროა მომზადდეს და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან შეთანმხდეს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც შესაძლებელია გაითვალისწინოთ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი და გადასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;
- გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობებს (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე); (დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აქვე, გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისად. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

ხოლო, რაც შეეხება 19 ძირი მთრთოლავი ვერხვის, 1 ძირი კანადური ვერხვის, 1 ძირი რუსული აკაციის და 2 ძირი ტირიფის გადარგვის საკითხს, გაცნობებთ, რომ ექსპერტის მიერ შეფასებული 23 ძირი (#34, #48, #49, #56, #57, #59, #60, #61, #62, #63, #64, #65, #68, #71, #73, #74, #76, #77, #78, #79, #80, #133, #179) მწვანე ნარგავი არის დიდტანოვანი, დიდი დიამეტრის მქონე ეგზემპლარები. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება/დარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას, ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ ფიზიკური/ იურიდიული პირისგან, ვინც განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს და გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა.

აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ 20 დღის ვადაში.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

შ.პ.ს. "ავლაბარი სიტი"
ს/კ 406284024
მისამართი: საქართ. ქ. თბილისი, მოსკოვის 15
ტელ. : (370) 22 63 83
მობ. ( +995) 577 47 81 81

L.T.D "AVLABARI CITY"
I/C 406284024
Address: Moscow st.15 Tbilisi, Georgia
Tel: (370) 22 63 83
Mob: ( +995) 577 47 81 81

№ 06

05 ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

მე, ოლექსანდრ ჰრეკოვ (პ/ნ 19720405-02237), თანხმობას ვაცხადებ განვახორციელო ხე-მცენარეთა მოვლა პატრონობა შპს „ავლაბარი სიტის" (ID 406284024) კუთვნილ ტერიტორიაზე (ს.კ. 01.17.01.046.005) განხორციელებადი პროექტის (AR1733202) ფარგლებში დამუშავებული დენდროლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, დადგენილ ვადაში და შესაბამისი წესით.

გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი:
ოლექსანდრ ჰრეკოვ პ/ნ 19720405-02237.

პატივისცემით,

დირექტორი ო. ჰრეკოვ